



საჩუქრადგანთ წერიდი

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სარეკომენდაციო წერილი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტროს ხელმძღვანელობას

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
საანგარიშგებო პერიოდისთვის
კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების აუდიტის შედეგების შესახებ

15 ნოემბერი, 2021 წელი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის მინისტრს
ბატონ ირაკლი ქარსელაძეს

ბატონო ირაკლი,

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა განახორციელა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, შედეგად გაიცა უარყოფითი დასკვნა.

აუდიტი ჩატარდა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების საპასუხოდ, წარმოგიდგენთ ჩვენს რეკომენდაციებს და ხელმძღვანელობისთვის მნიშვნელოვან სხვა ინფორმაციას.

პატივისცემით,

ერეკლე მექვაბიშვილი
გენერალური აუდიტორი

ტერმინები და შემოკლებები.....	2
1. რეკომენდაციები	3
2. ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კორექტირებები	8
3. წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა	11
საკონტაქტო ინფორმაცია.....	13

ტერმინები და შემოკლებები

სამინისტრო – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

მინისტრი – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი.

სამინისტროს აპარატი – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აპარატი.

აღრიცხვის ინსტრუქცია – „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე, ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია.

დეპარტამენტი – სსდ – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი.

სსდ – სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება.

ფონდი – სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

ცენტრი – სსიპ – ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი.

ანაკლიის სააგენტო – სსიპ – ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების სააგენტო.

ცვეთის ინსტრუქცია – საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 2 დეკემბრის N289 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“.

1. რეკომენდაციები

1.1 სხვა არაფინანსური აქტივები

აუდიტის მიზნება

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების“ მუხლში ასახული იყო 2006 – 2017 წლებში წარმოშობილი 103,236,067 ლარის ღირებულების აქტივები.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შედეგად გაცემული რეკომენდაციის საფუძველზე, დეპარტამენტმა შექმნა საინვენტარიზაციო კომისია. კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაციის საფუძველზე, მნიშვნელოვნად დაკორექტირდა 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დაუმთავრებელი აქტივების საწყისი ნაშთები, რაც დადებითად უნდა შეფასდეს.

თუმცა, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის დეპარტამენტის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების „სხვა არაფინანსური აქტივების“ მუხლში, კვლავ რჩება 2006 – 2017 წლებში წარმოშობილი 35,176,809 ლარის ღირებულების აქტივები, რომლებზეც 2017 – 2020 წლებში ბრუნვა არ განხორციელებულა. აღნიშნული დაუმთავრებელი აქტივებიდან შესრულებული სამუშაოების ღირებულება შეადგენს 26,573,177 ლარს, ხოლო 8,603,632 ლარის აქტივები წარმოადგენს საპროექტო სამუშაოების ღირებულებას. კომისიის მიერ გაცემულ რეკომენდაციაში აღნიშნულია, რომ საპროექტო სამუშაოები შესაძლოა აღარ აკმაყოფილებდეს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს და საკითხი საჭიროებს დამატებით შესწავლას საპროექტო და სხვა სამსახურებთან კოორდინაციით. სამინისტროს განმარტებით, საინვენტარიზაციო კომისიის რეკომენდაციის გათვალისწინებით გრძელდება დაუმთავრებელი აქტივების შესწავლის პროცესი.

შესაბამისად, დეპარტამენტის ბალანსზე ასახული „სხვა არაფინანსური აქტივების“ ნაშთი, შესაძლოა მოიცავდეს ისეთ დაუმთავრებელ აქტივებს, რომელთაგან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება ნაკლებად სავარაუდოა.

ასევე: სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2019 წლის ფინანსური აუდიტის შედეგად გაცემული რეკომენდაციის საფუძველზე, დეპარტამენტმა პროექტების მიხედვით გამიჯნა დაუმთავრებელი აქტივების ანგარიშზე არსებული თანხების მნიშვნელოვანი ნაწილი, რაც დადებითად უნდა შეფასდეს. თუმცა 297,305,381 ლარის ღირებულების ისეთი აქტივები, რომელთა იდენტიფიცირებაც ვერ მოხერხდა, საწყისი ნაშთის კორექტირების გზით ჩამოიწერა დამატებითი მოკვლევისა და განმარტების გარეშე.¹

აღსანიშნავია, რომ საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილი არაფინანსური აქტივების² ნაშთის ღირებულება არ მოიცავს 2020 წლამდე ამ აქტივების შექმნასთან დაკავშირებული საზედამხედველო მომსახურების შესყიდვაზე გაწეული ხარჯების ღირებულებას, რაც ამ აქტივების ღირებულებაზე კაპიტალიზებადი

¹ დეპარტამენტის განმარტებით, 297,305,381 ლარის ღირებულების ჩამოწერილი აქტივების იდენტიფიცირების სამუშაოები მოცულობითია და ანგარიშის თარიღისათვის მიმდინარეობს მათი დამატებითი შესწავლის სამუშაოები.

² დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში შექმნილი აქტივები.

	დანახარჯები. ³ შესაბამისად, 2020 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული დაუმთავრებელი აქტივების ღირებულება შემცირებულია არსებითად.
მიზეზი	აქტივის შექმნის ეტაპზე დანერგილი არასათანადო კონტროლის მექანიზმები; სააღრიცხვო პრაქტიკაში არსებული ხარვეზები.
გავლენა	ფინანსური ანგარიშგების „სხვა არაფინანსური აქტივების“ მუხლში არსებული უზუსტობები, ფინანსური დანაკარგების რისკი. ფინანსურ ანგარიშგებაში შესაძლოა არსებობდეს ისეთი დაუმთავრებელი აქტივები, რომელთა შემდგომში გამოყენება არ არის მოსალოდნელი.
რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად და უტყუარად წარდგენის მიზნით, აუცილებელია საავტომობილო გზების დეპარტამენტმა იმსჯელოს დაუმთავრებელი აქტივების ანგარიშზე დარჩენილი პროექტებისა და სამუშაოებისთვის გაუფასურების ინდიკატორების არსებობის შესახებ და იმოქმედოს სსბას 21-ის მოთხოვნების მიხედვით, ხოლო ისეთი აქტივების არსებობის შემთხვევაში, რომელთა მომავალში გამოყენება შეუძლებელია, იმსჯელოს გამომწვევ მიზეზებზე და იმოქმედოს კანონმდებლობის შესაბამისად. ასევე მნიშვნელოვანია, გზების დეპარტამენტმა ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრთან კოორდინაციით შეისწავლოს „სხვა არაფინანსური აქტივების“ შექმნასთან დაკავშირებული საზედამხედველო მომსახურების შესყიდვაზე გაწეული ხარჯების ოდენობა და განიხილოს მათი აქტივის ღირებულებაზე დამატების საკითხი.
კომპონენტები, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად	სსდ – საავტომობილო გზების დეპარტამენტი; სსიპ – ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი.
აუდიტის მიგნება	სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდის „სხვა არაფინანსური აქტივების“ მუხლში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასახულია 1,014,859 ლარის ღირებულების დაუმთავრებელი აქტივები, რომლებზეც 2018 წლიდან ბრუნვა არ განხორციელებულა ⁴ და მათი სამომავლო გამოყენების გეგმა ფონდს შემუშავებული არ აქვს. ასევე ფონდს „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების“ მუხლში ერიცხება 2012 წლამდე წარმოშობილი 808,672 ლარის ღირებულების აქტივები, რომელთა იდენტიფიცირება და ინვენტარიზაცია ვერ ხერხდება. შესაბამისად, აღნიშნული აქტივები შესაძლოა არ აკმაყოფილებდეს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.
მიზეზი	ფონდში არ არის განხორციელებული დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების ინვენტარიზაცია.
გავლენა	ფინანსურ ანგარიშგებაში შესაძლოა არსებობდეს ისეთი დაუმთავრებელი აქტივები, რომელთა შემდგომში გამოყენება არ არის მოსალოდნელი.
რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, აუცილებელია მუნიციპალური განვითარების ფონდმა ჩაატაროს დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების ინვენტარიზაცია, რის შედეგადაც დადგინდება დაუმთავრებელი

³ ისეთი დანახარჯები, რომლებიც ემატება აქტივების ღირებულებას.

⁴ 2018 წელს შესრულებული სხვადასხვა საპროექტო სამუშაოს ღირებულება.

აქტივების წარმოშობის საფუძვლები, სტატუსი და შემდგომში მათი ეფექტიანად გამოყენების შესაძლებლობა, ხოლო ისეთი აქტივების იდენტიფიკაციის შემთხვევაში, რომელთა მომავალში გამოყენება შეუძლებელია, იმსჯელოს გამომწვევ მიზეზებზე და იმოქმედოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტი, რომელზეც გაიცა

რეკომენდაცია

შესასრულებლად

სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდი.

1.2 სხვა გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები

აუდიტის მიგნება

სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ „სხვა გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებების“ მუხლოში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღრიცხული ვალდებულებები 1,773,068 ლარის ოდენობით,⁵ მოიცავს წინა საანგარიშგებო პერიოდებში წარმოშობილ ნაშთებს, რომლებთან დაკავშირებული კონტრაქტები უმეტეს შემთხვევაში შეწყვეტილია და დეფექტების აღმოფხვრის პერიოდის გონივრული ვადაც ამოწურულია.

შესაბამისად, აღნიშნული ვალდებულებები ექვემდებარება შემოწმებას და საანგარიშგებო პერიოდისთვის ვალდებულებების აღიარების კრიტერიუმებთან შესაბამისობის დადგენას.⁶

მიზეზი

ფონდის მიერ ვადაგადაცილებული კრედიტორული დავალიანებების ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა.

გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში შესაძლოა არსებობდეს ხანდაზმული კრედიტორული დავალიანებები, რომლებიც ექვემდებარება ჩამოწერას.

რეკომენდაცია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად და უტყუარად წარდგენის მიზნით, მნიშვნელოვანია, ფონდმა შეისწავლოს ვადაგადაცილებული კრედიტორული დავალიანებები, მათი წარმოშობის წლებისა და ხანდაზმულობის მიხედვით, შეაფასოს მათი სამართლიანად ასახვის კრიტერიუმები და შესაბამისად დააკორექტიროს აღნიშნული მუხლი.

კომპონენტი, რომელზეც გაიცა

რეკომენდაცია

შესასრულებლად

სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდი.

1.3 ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები

აუდიტის მიგნება

სსიპ – საავტომობილო გზების დეპარტამენტი ბალანსზე ასახული გზების ცვეთის ხარჯის გაანგარიშებისას, არ ითვალისწინებს გზის კონკრეტულ მონაკვეთზე სხვადასხვა ტიპის საფარის არსებობის ფაქტს და მთლიანი გზისთვის ცვეთას ითვლის გზის ერთ-ერთი საფარისთვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადით. შედეგად, დეპარტამენტის მიერ დათვლილი საგზაო მაგისტრალის წლიური ცვეთის ხარჯი შეუსაბამოა ცვეთის ინსტრუქციის მოთხოვნებთან.

მიზეზი

ცვეთის ინსტრუქციის მოთხოვნების შეუსრულებლობა.

⁵ ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულებულ სამუშაოებზე მომწოდებლებისთვის ხარისხის უზრუნველყოფისთვის დაკავებული თანხები.

⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესი“.

გავლენა	კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ასახული „ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯებისა“ და „ძირითადი აქტივების“ მუხლში არსებული უზუსტობები.
რეკომენდაცია	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად და უტყუარად წარდგენის მიზნით, მნიშვნელოვანია ცვეთის ხარჯის დათვლისას გამოყენებული ნორმები შეესაბამებოდეს ცვეთის ინსტრუქციის მოთხოვნებს.
კომპონენტი, რომელზეც გაიცა რეკომენდაცია	სსდ – საავტომობილო გზების დეპარტამენტი.
შესასრულებლად	

1.4 სხვადასხვა ხარჯები

აუდიტის მიგნება	სსდ – საავტომობილო გზების დეპარტამენტის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ინფორმაცია დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში უცხოურ ვალუტაში წარმოშობილი კრედიტორული დავალიანებების შესახებ, რომელზეც ცენტრის მიერ გადაფასებულია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. აღნიშნული კრედიტორული დავალიანებების გადაფასების ეფექტი არ არის ასახული საკურსო სხვაობით განპირობებულ მოგებაში/ზარალში. შესაბამისად, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული საკურსო სხვაობა არასწორად არის წარმოდგენილი.
მიზეზი	სსიპ – ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი ყველა ეკონომიკურ მოვლენას არ ასახავს შესაბამის ბუღალტრულ ანგარიშებზე. ბუღალტრული ინფორმაცია გროვდება Excel-ის ფაილში, რომელიც შემდგომ გადაეცემა გზების დეპარტამენტს.
გავლენა	ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული უზუსტობები.
რეკომენდაცია	იმისათვის, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში სრულყოფილად აისახოს განხორციელებული ეკონომიკური მოვლენების შესაბამისი ინფორმაცია, მნიშვნელოვანია, სსიპ – ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი ეკონომიკური მოვლენების ბუღალტრულად აღრიცხვას აწარმოებდეს აღრიცხვის ინსტრუქციის მოთხოვნების შესაბამისად.
კომპონენტები, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია	სსიპ – ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი;
შესასრულებლად	სსდ – საავტომობილო გზების დეპარტამენტი.

1.5 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

აუდიტის მიგნება	სამინისტროში არ არის შემუშავებული პოლიტიკა შესრულებულ სამუშაოებზე მომწოდებლებისთვის ხარისხის უზრუნველყოფისთვის დაკავებული თანხების აღრიცხვასთან დაკავშირებით. დეპარტამენტი ხარისხის უზრუნველყოფისთვის დაკავებულ თანხებს მიჯნავს მიმდინარე და გრძელვადიან ვალდებულებებად, ხოლო ფონდი და ცენტრი ამ ტიპის ვალდებულებებს აკლასიფიცირებს, როგორც გრძელვადიან კრედიტორულ დავალიანებას. სამინისტროს დაქვემდებარებულ უწყებებში არ არის ჩამოყალიბებული ერთგვაროვანი მიდგომა სასამართლო დავების მოსალოდნელი შედეგების შეფასებასთან დაკავშირებით. კერძოდ, მუნიციპალური განვითარების
-----------------	--

	ფონდისგან განსხვავებით, დეპარტამენტსა და სამინისტროს აპარატში არ არის ფორმალიზებული საფინანსო და იურიდიული სამსახურის კომუნიკაციის წესი და პირობები, არ ხდება სასამართლო დავების მოსალოდნელი შედეგების შეფასება და ფინანსურ ანგარიშგებაში მოთხოვნების, ვალდებულებების, პირობითი აქტივებისა და პირობითი ვალდებულებების ასახვა. ⁷
მიზეზი	ერთგვაროვანი ოპერაციების აღრიცხვისთვის არაერთგვაროვანი სააღრიცხვო მიდგომის გამოყენება.
გავლენა	კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ერთგვაროვანი მონაცემების განსხვავებულად წარდგენა.
რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად და უტყუარად წარდგენის მიზნით, მნიშვნელოვანია ანალოგიურ ვითარებაში განხორციელებული მსგავსი ოპერაციებისა და მოვლენების მიმართ, სამინისტრომ შეიმუშაოს და გამოიყენოს ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკა.
კომპონენტი, რომელზეც გაიცა რეკომენდაცია	სამინისტროს აპარატი.
შესასრულებლად	

1.6 გამოუყენებელი ფულადი სახსრები

აუდიტის მიგნება	სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდი ფლობს განახლებადი ენერგიის განვითარების პროგრამის ⁸ ფარგლებში გაცემული სესხების დაფარვის შედეგად წარმოქმნილ ფულად სახსრებს 23,376,544 ლარის ⁹ ოდენობით, რომელიც აკუმულირდება 2014 წლიდან. აღსანიშნავია, რომ ფონდი ფულად რესურსს არ იყენებს საკუთარ საქმიანობაში, შესაბამისად, იკარგება ეკონომიკური სარგებლის მიღების შესაძლებლობა.
მიზეზი	თავისუფალი ფულადი რესურსის არაეფექტიანი განკარგვა.
გავლენა	მიუღებელი ეკონომიკური სარგებელი.
რეკომენდაცია	თავისუფალი ფულადი რესურსის ეფექტიანად განკარგვისთვის, მნიშვნელოვანია ფონდმა განსაზღვროს განახლებადი ენერგიის განვითარების პროგრამის ფარგლებში გაცემული სესხების დაფარვის შედეგად წარმოქმნილი ფულადი სახსრების გამოყენების მიზნობრიობა.
კომპონენტები, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია	სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდი;
შესასრულებლად	სამინისტროს აპარატი.

⁷ სსბასს 19.

⁸ 2008 წლის 18 აპრილის შეთანხმება საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ფონდს შორის განახლებადი ენერგიის ფონდის მართვის მომსახურების შესახებ.

⁹ შესაბამისად, 5,810,291 ევრო (2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით).

2. ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კორექტირებები

2.1 მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები

აუდიტის მიგნება	სსდ – საავტომობილო გზების დეპარტამენტსა და სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდს დებიტორული დავალიანების ანგარიშებზე აღრიცხული აქვთ ისეთი თანხები, ¹⁰ რომლებიც სამინისტროს სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით ექვემდებარება საექვო მოთხოვნის რეზერვში გადატანას, რაც განხორციელებული არ არის.
კომპონენტები, სადაც გამოვლინდა დარღვევა	სსდ – საავტომობილო გზების დეპარტამენტი; სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდი.

2.2 ძირითადი აქტივები

აუდიტის მიგნება	სსდ – საავტომობილო გზების დეპარტამენტმა 2020 წელს ბალანსზე ასახა ძირითადი აქტივები ჯამური ღირებულებით – 25,708,210 ლარი, რომლებიც ექსპლუატაციაში შევიდა 2017 – 2019 წლებში. აღნიშნულ აქტივებზე დეპარტამენტმა ცვეთის დარიცხვა დაიწყო ბალანსზე ასახვის მომენტიდან და რეტროსპექტულად არ გაუსწორებია წინა საანგარიშგებო პერიოდის შეცდომები. შესაბამისად, ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგებაში ასახული ძირითადი აქტივების საწყისი ნაშთი არ მოიცავს ზემოთ აღნიშნული ძირითადი აქტივების საბალანსო ღირებულებას 24,917,146 ლარის ¹¹ ოდენობით, ხოლო საბოლოო ნაშთი გაზრდილია წინა პერიოდების დაგროვილი ცვეთის – 791,064 ლარის ოდენობით.
კომპონენტი, სადაც გამოვლინდა დარღვევა	სსდ – საავტომობილო გზების დეპარტამენტი.

2.3 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

აუდიტის მიგნება	სსიპ – ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების სააგენტო, რომელიც სამინისტროს დაქვემდებარებულ უწყებას წარმოადგენდა, გადაეცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს. ¹² შესაბამისად, სამინისტრო 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღარ არის ანაკლიის სააგენტოს მკონტროლებელი ერთეული. მიუხედავად ამისა, სამინისტროს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ანაკლიის სააგენტოს აქტივებისა და ვალდებულებების ნაშთებს 5,756,767 ლარის ოდენობით. შესაბამისად, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გაზრდილია 5,756,767 ლარის ოდენობით.
კომპონენტი, სადაც გამოვლინდა დარღვევა	სამინისტროს აპარატი.

¹⁰ დეპარტამენტსა და ფონდს „მოკლევადიანი მიმდინარე დებიტორული დავალიანებების“ მუხლში ერიცხება, შესაბამისად, 5,331,569 ლარისა და 465,437 ლარის მოთხოვნები, ხოლო ფონდს „სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივების“ მუხლში ასახული აქვს 4,175,820 ლარის მოთხოვნები.

¹¹ ისტორიული ღირებულება - 25,708,210 ლარი, დაგროვილი ცვეთა - 791,604 ლარი.

¹² საქართველოს მთავრობის 2020 წლის 6 თებერვლის N76 დადგენილება.

2.4 განმარტებითი შენიშვნები

აუდიტის მიგნება	სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში არ არის წარმოდგენილი აღრიცხვის ინსტრუქციით გათვალისწინებული სსბასს-ის შესაბამისად განსაზღვრული ინფორმაცია. კერძოდ: - დაკავშირებულ მხარეთა შესახებ განმარტებითი შენიშვნები (სამინისტრო); - შესადარისი თანხების ცვლილების შესახებ ინფორმაცია (სამინისტრო); - ინფორმაცია „გრანტების, ტრანსფერების და სუბსიდიების“ მუხლიდან გაწეული რეალური ხარჯების შინაარსისა და კატეგორიების შესახებ (ცენტრი). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება სრულყოფილად არ ასახავს ანგარიშის მომხმარებლებისთვის საჭირო მნიშვნელოვან ინფორმაციას.
კომპონენტები, სადაც გამოვლინდა დარღვევა	სამინისტროს აპარატი; სსიპ – ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი.

2.5 სხვა გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები

აუდიტის მიგნება	სსიპ – ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრის მიერ დეპარტამენტისათვის გადაცემული გრანტი და მიწოდებული ინფორმაცია არ მოიცავს 2020 წელს ერთ-ერთი კომპანიის მიმართ წარმოშობილ გრძელვადიან კრედიტორულ დავალიანებას 7,848,564 ლარის ოდენობით. ფინანსური ანგარიშგება ასევე არ მოიცავს, აღნიშნული კრედიტორის წინაშე არსებული ვალდებულების საწყის ნაშთს – 696,952 ლარის ოდენობით. სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ ხაშურის მუნიციპალიტეტის მიმართ წარმოქმნილი ვალდებულებების საწყისი და საბოლოო ნაშთები სრულად არ არის დაკორექტირებული ფინანსურ ანგარიშგებაში. კერძოდ, კრედიტორული დავალიანების საწყისი ნაშთი შემცირებულია 816,106 ლარით, ხოლო საბოლოო ნაშთი – 768,757 ლარით.¹³
კომპონენტები, სადაც გამოვლინდა დარღვევა	სსიპ – ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი; სსდ – საავტომობილო გზების დეპარტამენტი; სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

2.6 საპროცენტო შემოსავლები, საპროცენტო ხარჯები

აუდიტის მიგნება	სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდის მყარი ნარჩენების მართვის პროექტის ფარგლებში გაცემული სესხებიდან აღიარებული საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი არასწორად არის გაანგარიშებული ფონდის მიერ. შესაბამისად, საპროცენტო შემოსავალი გაზრდილია 444,730 ლარით, ხოლო საპროცენტო ხარჯი – 421,323 ლარით.
კომპონენტი, სადაც გამოვლინდა დარღვევა	სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდი.

¹³ აღნიშნული შეცდომა იდენტიფიცირებულია ფონდის მიერ და გასწორებულია 2021 წელს.

2.7 გრანტები, ტრანსფერები და სუბსიდიები – ხარჯები

აუდიტის მიგნება	სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდის 2020 წლის ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგების „გრანტის ხარჯის“ მუხლში ასახულია მუნიციპალიტეტებისთვის ¹⁴ გადაცემული 5,533,733 ლარის დაუმთავრებელი ძირითადი საშუალება, რომელიც მიეკუთვნება 2019 წლის პერიოდს და არ არის 2020 წლის ხარჯი.
კომპონენტი, სადაც გამოვლინდა დარღვევა	სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდი.

2.8 სხვადასხვა ხარჯები

აუდიტის მიგნება	სსიპ – ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრის მიერ სსდ – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისთვის გადაცემული გრანტი არ მოიცავს უარყოფით საკურსო სხვაობას, 12,818,235 ლარის ოდენობით.
კომპონენტი, სადაც გამოვლინდა დარღვევა	სსიპ – ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი; სსდ – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი.

2.9 გრძელვადიანი ფინანსური აქტივები

აუდიტის მიგნება	სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების „გრძელვადიანი ფინანსური აქტივების“ მუხლში ასახული ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში არასწორად არის შემცირებული 5,832,196 ლარის ოდენობით, ხოლო „სხვადასხვა შემოსავლების“ მუხლი არასწორად არის გაზრდილი 3,993,738 ლარით.
კომპონენტი, სადაც გამოვლინდა დარღვევა	სამინისტროს აპარატი.

2.10 დაუმთავრებელი აქტივები

აუდიტის მიგნება	სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდმა 2020 წელს „დაუმთავრებელი აქტივების“ მუხლის საწყისი ნაშთი შეამცირა 33,558,817 ლარით. აღნიშნული თანხა არის 2014 – 2020 წლებში ევროპის საინვესტიციო ბანკის დაფინანსებით განხორციელებული პროექტის ¹⁵ ფარგლებში შესრულებული სამუშაოების ღირებულება, რაც დასრულების შემდგომ ექვემდებარებოდა ბენეფიციარისთვის – შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიისთვის“ გადაცემას. შპს „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ წერილობით ადასტურებს, რომ არ არის წინააღმდეგი მიიღოს აღნიშნული აქტივები, შემდგომში მათი ექსპლუატაციის მიზნით, თუმცა აქტივების მიღება-ჩაბარების აქტზე ხელს აწერს მხოლოდ ფონდის წარმომადგენელი. შესაბამისად, ოპერაცია განხორციელებულია სრულყოფილი დოკუმენტური საფუძვლის გარეშე.
კომპონენტი, სადაც გამოვლინდა დარღვევა	სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდი.

¹⁴ აგროპოლიტიკისა და თიანეთის მუნიციპალიტეტები.

¹⁵ „წყლის ინფრასტრუქტურის განახლების პროექტი II (EIB, EU)“.

3. წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა

რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად და უტყუარად წარდგენის მიზნით, მნიშვნელოვანია სამინისტროს აპარატმა შეაფასოს „აქციები და სხვა კაპიტალის“ მუხლში აკუმულირებული თანხების წარმოშობისა და კლასიფიკაციის სისწორე; ასევე განსაზღვროს, რამდენად აკმაყოფილებს აღნიშნული თანხები აქტივად აღიარების კრიტერიუმებს, მათ მიერ სამომავლოდ მოტანილი ეკონომიკური სარგებლისა და მომსახურების პოტენციალის გათვალისწინებით.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	შესრულებული.
რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად და უტყუარად წარდგენის მიზნით, მნიშვნელოვანია რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ ფინანსთა სამინისტროსთან კოორდინაციით შეისწავლოს, თუ რამდენად აკმაყოფილებს „გრძელვადიანი ფინანსური აქტივებისა და მოთხოვნების“ მუხლში ასახული 668,336,265 ლარი აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	შესრულებული.
რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის პრინციპიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია სასამართლო დავების შესახებ ინფორმაცია მომზადდეს და აისახოს ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	შესრულებული.
რეკომენდაცია	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად და უტყუარად წარდგენის მიზნით, მნიშვნელოვანია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ შეიმუშაოს ისეთი სააღრიცხვო პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც ხელს შეუწყობს განსხვავებული სააღრიცხვო მიდგომების შედეგად გამოწვეული უზუსტობების მინიმუმამდე შემცირებას, როგორც სამინისტროს აპარატში, ასევე მის დაქვემდებარებაში მყოფ ერთეულებში.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	შესრულებული.
რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, აუცილებელია საავტომობილო გზების დეპარტამენტის საინვენტარიზაციო კომისიამ დაადგინოს დაუმთავრებელი აქტივების წარმოშობის საფუძვლები, სტატუსი და შემდგომში მათი ეფექტიანად გამოყენების შესაძლებლობა, ხოლო ისეთი

აქტივების იდენტიფიკაციის შემთხვევაში, რომელთა მომავალში გამოყენება შეუძლებელია, იმსჯელოს გამომწვევ მიზეზებზე და იმოქმედოს კანონმდებლობის შესაბამისად.

აღრიცხვის შეცდომებისა და არსებითი უზუსტობების თავიდან ასაცილებლად, სამინისტროს აპარატში უნდა დაინერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს დაქვემდებარებული უწყებების მუშაობას კოორდინირებულად, ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად.

რეკომენდაციის შესრულების
სტატუსი

ნაწილობრივ შესრულებული.

რეკომენდაცია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად და უტყუარად წარდგენის მიზნით, მნიშვნელოვანია დეპარტამენტმა შექმნას კრედიტორების შემსწავლელი კომისია და შეისწავლოს ვადაგადაცდილებული კრედიტორები მათი წარმოშობის წლებისა და ხანდაზმულობის მიხედვით, შეაფასოს მათი სამართლიანად ასახვის კრიტერიუმები და შესაბამისად დააკორექტიროს აღნიშნული მუხლი.

რეკომენდაციის შესრულების
სტატუსი

შესრულებული.

საკონტაქტო ინფორმაცია

გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის პროცესზე პასუხისმგებელი პირი	ანა ბურდიაშვილი aburdiashvili@sao.ge	—
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის სისტემა	https://aris.sao.ge/	
ვებგვერდი და სოციალური მედია	https://www.sao.ge/ https://www.budgetmonitor.ge/ka http://www.blog.sao.ge/ http://www.sai.ge/main/ https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/ https://www.youtube.com/user/saogeorgia https://www.facebook.com/www.sao.ge	
ცხელი ხაზი	(+995 32) 243 81 81	
ელექტრონული ფოსტა	sao@sao.ge	

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE